ხვალ, 15 მარტს — ყველანი არჩევნებზე!

პროლეტარებო ქვეყანა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 60 (11366)
შაბათი
14
მარტი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ამომრჩევლები ხმას მისცემენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მის მიერ დასახული დიდებული შვიდწლიანი გეგმის განხორციელებას.

გაუმარჯოს პარტიის, ხალხისა და მთავრობის დიად ერთიანობას!

კ ო მ უ ნ ი კ ე

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის შესახებ

1959 წლის 4-დან 12 მარტამდე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ყოველწლიური საგაზაფხულო ბაზრობა ქალაქ ლაიპციგში, სადაც იგი დაწვრილებით გაეცნო სოციალისტური ქვეყნების, აზიისა და არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებისა და კაპიტალისტური დასავლეთის უდიდესი ქვეყნების საგამოფენო პავილიონებსა და სტენდებს.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, საწარმოთა დირექტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, სპეციალისტებს და გაეცნო უახლეს მიღწევებს მეცნიერების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, აგრეთვე ბაზრობაზე წარმოდგენილი ქვეყნების შრომის პირობებსა და წარმოების ორგანიზაციას. ბაზრობის ექსპონატების გაცნობამ ცხადყო სოციალისტური ქვეყნების მეურნეობისა და კულტურის უდიდესი ზრდა და ის, რომ სულ უფრო ფართოვდება მათი ეკონომიური ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან. ექსპონატები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გამოფინა ლაიპციგის ბაზრობაზე, მოწმობენ, თუ რა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელიც წარმატებით აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას. ეს ექსპონატები მოწმობენ რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას. ლაიპციგის ბაზრობამ გამოავლინა აგრეთვე დიდი შესაძლებლობანი ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გამოვიდა ლაიპციგის საერთო-საქალაქო მიტინგზე. მან აგრეთვე მონაწილეობა მიიღო სრულიად გერმანიის მუშათა კონფერენციის მუშაობაში კონფერენციის მუდმივი კომიტეტის მიწვევით. კონფერენციაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას დიდი აღფოთოვანებით შეხვდნენ ორივე გერმანული სახელმწიფოს მუშათა მოძრაობის წარმომადგენლები, სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების პროფკავშირული მოღვაწეები. გამოსვლებში დარბაზობებზე, საუბრებში საზოგადოებრიობის, პოლიტიკური და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი უცვლელად უსვამდა ხაზს სახელმწიფოთა შორის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ყოველი ღონისძიებით გაფართოების დიდ მნიშვნელობას და ლაიპციგის ტრადიციული ბაზრობის სულ უფრო მზარდ როლს, რომელიც თავისებური საერთაშორისო ეკონომიური კონგრესი გახდა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის უდიდეს სავაჭრო შესაძლებლობებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტური სამყაროს სახელმწიფოებს შორის ფართო ეკონომიური ურთიერთობის განვითარება სულ უფრო დიდ როლს ასრულებს ხალხთა შორის დაახლოებისა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. მან განსაკუთრებით აღნიშნა მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობისა, როგორც ჯანსაღი და მტკიცე საფუძვლისა, რომელზეც წარმატებით შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, რაც თავის მხრივ ქმნის საჭირო წანამძღვრებს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებისა და ხალხთა შორის ურთიერთნდობის ზრდისათვის.

განმარტა რა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა მთავრობა იდგა და დგას მშვიდობის პოზიციებზე და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას ომი. ამასთან დაკავშირებით ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და ლიკვიდირებულ იქნას საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში, რაც ახლანდელ პირობებში ევროპაში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. ულბრიხტმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ო. გროტევოლმა თავიანთ განცხადებებში დაადასტურეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მტკიცე გადაწყვეტილება მთელი ძალღონით შეუწყოს ხელი ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას და სახელმწიფოებს შორის ნდობისა და საქმიანი თანამშრომლობის შექმნას. მათ კვლავ განაცხადეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტში შემავალი ყველა დემოკრატიული პარტია არ დაიშურებენ ძალღონეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უსწრაფესად დადებისათვის, რაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გერმანელი ხალხის ეროვნული ამოცანის — გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანების ამოცანის გადაჭრის გზაზე.

ლაიპციგის ბაზრობის გაცნობის დამთავრების შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხანაგ ვ. ულბრიხტთან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ამხანაგ ო. გროტევოლთან ერთად გაემგზავრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში, სადაც მათ უაღრესად გულთბილად შეხვდა ქალაქის მოსახლეობა.

ბერლინში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ვიზიტი გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ვილჰელმ პიკს და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ქალაქის რატუშას და შეხვდა დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრს ამხანაგ ფ. ებერტს და ბერლინის მაგისტრატის წევრებს. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გამოვიდა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა მრავალათასიან მიტინგზე.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის აღსანიშნავად ბერლინის რატუშაში გაიმართა დიდი დარბაზობა, რომელიც მოაწყეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. ულბრიხტმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ო. გროტევოლმა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საპასუხო დარბაზობა გამართა საბჭოთა საელჩოს შენობაში.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრო აგრეთვე დარბაზობას, რომელიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გამართეს ამხანაგ ო. გროტევოლის დაბადების 65 წლისთავის აღსანიშნავად.

ბერლინში, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და, მეორე მხრივ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვ. ულბრიხტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ო. გროტევოლს შორის გაიმართა მთელი რიგი შეხვედრები, რომელთა დროს განხილულ იქნა ფართო წრე საერთაშორისო ხასიათის საკითხებისა, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერეგუდოვმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დოქტორმა ლოტარ ბოლცმა, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მთავარი. გამგეობის პრეზიდიუმის წევრმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მაქს ზეფრინმა, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პაულ შოლცმა, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დოქტორმა ჰანს ლოხმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დოქტორმა იოჰანეს დი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის **მინისტრთა საბჭომ განიხილეს მოსახლეობის** საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ემყარებოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მითითებას იმის შესახებ, რომ „თანამედროვე პირობებში, როცა მიღწეულია უდიდესი წარმატებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, არსებობს ყველა პირობა, რათა უახლოეს ხანში საბჭოთა ხალხმა უკეთესად იცხოვროს, უფრო სრულად დაიკმაყოფილოს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი“. ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდება ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და მოსახლეობისათვის მიყიდვა, მშრომელებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ სულ უფრო მეტი ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ავეჯი, ტელევიზორები, რადიომიმღებები, საკერავი და სარეცხი მანქანები, აგრეთვე სხვა საოჯახო საგნები. ამასთან ერთად სწრაფად იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილებანი სხვადასხვა სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე.

მაგრამ ამჟამად საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებული დონე, როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ბევრ ქალაქსა და მუშათა დაბაში საკმარისი არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა ქსელი. წარმოებისა და შემკვეთთა მომსახურების კულტურა მთელ რიგ სახელოსნოებში დაბალია, არის მშრომელთა საჩივრები, რომ არადამაკმაყოფილებელია შეკერვისა და რემონტის სამუშაოთა ხარისხი, დიდია შეკვეთების შესრულების ვადები. საკმარისი არ არის სახელოსნოების ქსელი, სადაც წვრილი რემონტი სრულდებოდეს შემკვეთის დასწრებით, სუსტად არის მოწყობილი ბინების რემონტი მოქალაქეთა სახსრებით.

ადგილობრივი მრეწველობა, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაცია ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ უწევენ საყოფაცხოვრებო მომსახურებას სოფლის მოსახლეობას. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შექმნისათვის სუსტად იზიდავენ კოლმეურნეობათა სახსრებსა და შესაძლებლობებს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილნი მოწყობილობით, ქსოვილებით, ტყავის საქონლით, დამხმარე მასალით და სათადარიგო ნაწილებით ტექნიკურად რთული საოჯახო საგნების შეკეთებისათვის.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მშრომელთა დეპუტატების ბევრი ადგილობრივი საბჭო, პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები. საკმაოდ არ არის გამოყენებული საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი. მიაჩნიათ რა ეს საწარმოები ნაკლებრენტაბელურად, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელები ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის დაგროვებას საჭირო ოდენობით არ ახმარენ ახალი სახელოსნოებისა და ატელიეების შექმნას, საკმაოდ არ არის გამოყენებული ამ მიზნისათვის ბანკის კრედიტები. ცალკეულ შემთხვევებში ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებით იხურება საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოები. ცუდად არის მოწყობილი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის კვალიფიციური კადრების — თერძების, გამამჭრელების, მეჩექმეების, ტექნიკურად რთული საგნების შემკეთებელი ოსტატების მომზადება.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეული გაუმჯობესების საკითხებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იმ ამოცანების მიხედვით, რომლებიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, საკავშირო პროფსაბჭოს, სამინისტროებს, უწყებებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს მიიღონ ღონისძიებანი მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეული გაუმჯობესებისათვის, რათა უახლოეს ორ-სამ წელიწადში ყველგან უზრუნველყონ მოსახლეობა ძირითად სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საკერავი და სარემონტო ატელიეების, ველოსიპედებისა და მოტოციკლების, ავეჯის, ტელევიზორების, რადიომიმღებების, მაცივრების, მტვერსასრუტების, სარეცხი მანქანებისა და სხვა საოჯახო საგნების სარემონტო სახელოსნოებისა და საწარმოების ქსელის გასაფართოებლად ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, მუშათა დაბებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, აგრეთვე საპარიკმახეროებისა და მოქალაქეთა სახსრებით ბინების სარემონტო ორგანიზაციების ქსელის გასაფართოებლად. სოფლად ასეთი საწარმოების ორგანიზაციაში უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ სამომხმარებლო კოოპერაცია და კოლმეურნეობები. მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის კულტურა და გაუმჯობესდეს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

მიღებული დადგენილებით დასახულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა გადიდდეს 1959 წელს 7 მილიარდ 233 მილიონ მანეთამდე, 1960 წელს—8 მილიარდ 569 მილიონ მანეთამდე და 1961 წელს — სულ ცოტა 10,3 მილიარდ მანეთამდე ნაცვლად 1958 წლის 6,2 მილიარდი მანეთისა; გადიდდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რაოდენობა 1959 წელს სულ ცოტა 102,7 ათასამდე, 1960 წელს — 126,7 ათასამდე, 1961 წელს — სულ ცოტა 153,3 ათასამდე 1958 წლის 79,6 ათასის ნაცვლად.

გათვალისწინებულია სამი წლის განმავლობაში მოეწყოს ფეხსაცმლის ინდივიდუალური საკერავი და სარემონტო 29 ათასი ახალი საწარმო, ტანსაცმლის ინდივიდუალური საკერავი და სარემონტო 22,2 ათასი საწარმო, საოჯახო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების, აგრეთვე ბინების სარემონტო 12,1 ათასი საწარმო და 13,2 ათასი საპარიკმახერო. გათვალისწინებულია 1959-1961 წლებში აშენდეს ტანსაცმლის ქიმიური საწმენდი და საღებავი 267 ფაბრიკა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ განიხილონ საკითხი, რომ ქალაქებში, მუშათა დაბებსა და რაიონულ ცენტრებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების მოსაწყობად გაათავისუფლონ სათავსები სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაწესებულების კანტორების შემჭიდროების გზით. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშების შრომის ნაყოფიერების გადიდების, სამუშაოთა ღირებულების შემცირებისა და მოსახლეობისათვის მეტი მოხერხებულობის შექმნის მიზნით საჭიროა დიდ ქალაქებში აშენდეს ფეხსაცმლის, ავეჯისა და ტექნიკურად რთული საოჯახო საგნების მექანიზებული ფაბრიკები და სპეციალიზებული სარემონტო სახელოსნოები მიმღები პუნქტების ფართო ქსელით, რომლებიც შემკვეთის თანდასწრებით შეასრულებენ წვრილ რემონტს. საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებში გათვალისწინებულ იქნას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მოთხოვნილებების უზრუნველყოფა ნედლეულით, ქიმიკატებით, მასალებით, სათადარიგო ნაწილებით, მოწყობილობით და ავტოტრანსპორტით მათთვის დაწესებულ სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად, აგრეთვე საშენი მასალებით ახალი საწარმოების მოსაწყობად და ბინების შესაკეთებლად.

საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ცენტრებში გათვალისწინებულია მოეწყოს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის დამხმარე მასალებისა და ქიმიკატების, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტისა და ფურნიტურის წვრილმაბითუმად მიყიდვა ნაღდ ანგარიშზე და უნაღდო ანგარიშით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს რჩება ეძლევათ განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ მოეწყოს მოსახლეობისათვის სახელოსნოებში, ატელიეებსა და მიმღებ პუნქტებში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფურნიტურის, ტანსაცმლის საშენდი ქიმიკატების, თარგებისა და მოდის ჟურნალების მიყიდვა, აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ მოეწყოს პუნქტების ფართო ქსელი მოსახლეობისათვის სარეცხი და საკერავი მანქანების, ელექტროიატაკსაწმენდების და სხვა საოჯახო საგნების მისაქირავებლად. საჭიროა მოეწყოს მკერავთა, მეფეხსაცმელეთა, ავეჯის, ლითონის ნაკეთობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექნიკურად რთული საგნების შემკეთებელ ოსტატთა მომზადება და გადამზადება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის 1959-1961 წლებში. ამასთან მხედველობაში მიღებულ იქნას საწარმოების სრული უზრუნველყოფა ამ სპეციალობათა კვალიფიციური მუშაკებით. საჭიროა აგრეთვე საწარმოებმა კვალიფიციური მუშები, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ უშუალოდ საწარმოებში, ფართოდ მოიზიდონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა შინ შესასრულებლად.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო, საოლქო და საქალაქო აღმასკომებმა ქალაქებისა და ცალკეული საცხოვრებელი რაიონების დაგეგმისა და განაშენიანების პროექტების შედგენისა და დამტკიცებისას უნდა გაითვალისწინონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა განლაგება, ამასთან მხედველობაში უნდა იქონიონ ამ საწარმოების მიახლოება მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილთან; მიიღო ღონისძიებანი იმ სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის, რომლებსაც საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები ასრულებენ და განიხილონ საკითხი შეკერვისა და სარემონტო-საყოფაცხოვრებო მომსახურების საპრეისკურანტო ფასების შემდგომი შემცირების შესახებ. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის საათები და დასვენების დღეები უნდა დაწესდეს მშრომელთათვის, რაც შეიძლება მეტი მოხერხებულობის შექმნის გათვალისწინებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ღონისძიებანი ქალაქებსა და მუშათა დაბებში კომუნალური სამრეცხაოების ქსელის გაფართოებისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის სახსრებით სოფელ ადგილებში სამრეცხაოების ორგანიზაციისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა, აგრეთვე გაითვალისწინონ ამ გეგმებში მოტოციკლების, ველოსიპედების, მაცივრების, ტელევიზორების, რადიომიმღებების, სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ტექნიკურად რთული სხვა საგნების სათადარიგო ნაწილების წარმოება ამ საგნების რემონტისათვის საჭირო რაოდენობით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად დააწესონ დავალება, რომ მანქანათსამშენებლო ქარხნებში დამზადდეს მაღალი წარმადობის მანქანები და მოწყობილობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის, აგრეთვე შემუშავებულ და ათვისებულ იქნას 1959-1960 წლებში ავტომატები და ნახევარავტომატები ამ საწარმოებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს რჩება მიეცათ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისა და გაფართოებისათვის გამოიყენონ ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდების სახსრები, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის მოგება (საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ), ბიუჯეტის გასავალზე შემოსავლის გადამეტება. გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომებსა და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დახმარება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდის სახსრებიდან, აგრეთვე გამოიყენონ ბანკის კრედიტები.

სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკი სარეწაო კოოპერაციის არტელებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს მისცემს კრედიტს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მშენებლობისათვის 1-6 წლის ვადით, ისე რომ კრედიტის დაფარვა დაიწყება სესხის მიღების მეორე წლიდან. სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკს დართული აქვს ნება ამ მიზნით გამოჰყოს 1959 წელს 200 მილიონი მანეთი.

გზათა სამინისტროსა და საზღვაო ფლოტის სამინისტროს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ საყოფაცხოვრებო მომსახურების ამჟამად არსებული საწარმოების გაფართოება და ახალი საწარმოების შექმნა რკინიგზის დიდ სადგურებსა და ნავსადგურებში ტრანსპორტის მუშაკთა და მგზავრთა მომსახურებისათვის.

* * *

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობას ყოველდღიური კონტროლი უნდა გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. საზოგადოებრივი კონტროლი უნდა წარიმართოს იმ მხრივ, რომ გაძლიერდეს ბრძოლა მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალი კულტურისათვის, სახელოსნოთა სანიმუშო მუშაობისათვის და ამ მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებისა და საკავშირო პროფსაბჭოს ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა უზრუნველყონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეული გაუმჯობესების იმ ღონისძიებათა უთუოდ შესრულება, რომლებიც დასახულია ამ დადგენილებით, რაც ხელს შეუწყობს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა რეალური ხელფასის შემდგომ გადიდებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

მშრომელთა საკეთილდღეოდ

სულ უფრო იზრდება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი ჩვენს რესპუბლიკაში. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში მას 200 ობიექტი მიემატა. ამჟამად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში საზოგადოებრივი კვების 1540-ზე მეტი საწარმო მუშაობს.

შვიდწლიდის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში რესტორანების, სასადილოების, კაფეების, სასაუზმეების და სხვ. რიცხვი 1.380 ერთეულით გადიდდება. შეიქმნება დიდი სასადილოები საწარმოებსა და სასწავლებლებში, შინ გასაცემი სადილების სამზარეულოები, ნახევარფაბრიკატების, კულინარიისა და საკონდიტრო ნაწარმის მაღაზიების ქსელი. საუზმეებისა და ლუდის გაყიდვაში ფართოდ დაინერგება ავტომატები.

საზოგადოებრივი კვების ტრესტები უკანასკნელ ხანებში დიდ ყურადღებას აქცევენ პროდუქტების გადამუშავებას და ნახევარფაბრიკატების წარმოებას, რომელიც ამჟამად ყოველდღიურად ამუშავებს 2 ტონა ხორცს, 400 კილოგრამ თევზს, 1,5 ტონა კარტოფილს, შემდგომში გადამუშავებს ერთიორად მეტ პროდუქტებს. მარკვენა ნაპირის სასადილოთა ტრესტის ნახევარფაბრიკატებით ამარაგებს 36 სასადილოს, სასაუზმესა და საჩაიეს.

სულ უფრო ფართოდ ინერგება მშრომელთა მომსახურების მიზნით საწარმოებში კომპლექსური სადილები და საუზმეები გაცემა. მარტო შარშან 10 პროცენტის ფასდაკლებით მომხმარებლებს შინ მიეცათ 1.400 ათასი კერძი. იხსნება სასკოლო სასადილოები, სკოლის ბევრ ბუფეტში გაიყიდება ცხელი საუზმე და სადილები.

შვიდწლიანი გეგმა—ექვს წელიწადში

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

თბილისის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს მრეწველობისა და საქალაქო მშენებლობის დარგში პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების საქმეში მიეძღვნა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც 10 მარტს გაიმართა. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მოძმე ლატვიის რესპუბლიკის დედაქალაქ რიგის მშრომელთა დელეგაციამ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

კრებამ მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **გ. ა. გეგეშიძის** მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი და თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მრეწველობისა და მშენებლობის დარგში 1959 წლისთვის“.

მომხსენებელმა დაახასიათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა და შეეხო თბილისის მრეწველობის 1958 წლის და მიმდინარე წლის პირველი ორი თვის მუშაობის შედეგებს. მან აღნიშნა, რომ ქალაქის საწარმოთა კოლექტივებმა გასული წლის საწარმოო გეგმა შეასრულეს 9 დეკემბერს, გამოუშვეს რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მრეწველობის მუშაობაზე დადებითი გავლენა მოახდინა მომძე რიგის მშრომელებთან სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც უკვე ტრადიციული გახდა.

1959 წლის პირველი ორი თვის გეგმა თბილისის მრეწველობამ 103,9 პროცენტით შეასრულა. გამოშვებულია 15,1 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

ამ ბოლო დროს ქალაქს შეემატა ექვსი ახალი ქარხანა, რომლებიც უშვებენ ელექტროტექნიკურ ნაკეთობებსა და ხელსაწყოებს. წელს ჩვენი ქვეყანა მიიღებს თბილისის მარკის ახალ პროდუქციას — მიკროძრავებს, რეოსტატებს, ელექტროშემდუღებელ აპარატურას, საამწეო ელექტროძრავებს, საოზოლაციო მასალებს, ტექნიკურ ქვებს.

მომხსენებელი შეეხო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტასთან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სწორი შეხამების საკითხებს. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს და კომუნისტებს მოეთხოვებათ, რომ მათ თავიანთი საქმიანობის ცენტრში დააყენონ ადამიანებთან მუშაობა.

თბილისის მრეწველობა, ამბობს შემდეგ ამხ. გეგეშიძე, მკვეთრი აღმავლობის გზაზეა, ყოველთვიურად ზრდის წარმოების ტემპს. მაგრამ საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია და სწორედ ამაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ამ ბოლო დროს ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო, ელსატმასის ქარხნებმა, ზორც-კომბინატმა ვერ შეასრულეს გასული წლის სახელმწიფო გეგმა. მიმდინარე წლის პირველ თვეებში დავალებებს ვერ ასრულებენ ქარხანა „ელექტროგამზავები“, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, მაკარონის ფაბრიკა, ღვინის ქარხანა № 2 და ზოგიერთი სხვა. ჩამორჩენილ საწარმოთა სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მის სამმართველოებსა და ტრესტებს არ მიუღიათ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ეს საწარმოები გამოეყვანათ ჩამორჩენილთან.

მოხსენებაში მწვავედ იყო გაკრიტიკებული ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მუშაობა. მართალია, მისი ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია გაჭიანურებული რეკონსტრუქცია, მაგრამ ამასთან ერთად საწარმოში ცუდად არის ორგანიზებული შრომა, მნიშვნელოვანია მოცდენა და სამუშაო ძალის დენადობა, ირღვევა შრომის დისციპლინა.

მომხსენებელი ლაპარაკობს ქალაქის მრეწველობის მუშაობაზე ახალი რთული მანქანებისა და ხელსაწყოების გამოშვების ასათვისებლად. ამასთან ერთად მიმდინარეობს ქარხნების და ფაბრიკების რეკონსტრუქცია, მოწყობილობის მოდერნიზაცია, ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ საწარმოში მოწყობილობა მოძველდა, მთლიანად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, გავრცელებულია კუსტარულობა, სუსტად ინერგება ახალი ტექნიკა. მაგალითად, სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონშესაკეთებელ ქარხანაში ჩარხების პარკის თითქმის ნახევარი გამოშვებულია 1930 წლამდე. ამ მხრივ საქმე ცუდად არის საფეიქრო საწარმოებში. ქალაქის თითქმის ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში საკმაოდ არ ინერგება კომპლექსური ავტომატიზაცია და მექანიზაცია, აგრეთვე წარმოების შრომატევადი პროცესების, განსაკუთრებით დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მცირე მექანიზაცია.

მრეწველობაში ახალი ტექნიკის დანერგვაში დიდი როლი უნდა შეასრულონ თბილისში ამას წინათ შექმნილმა ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამოუკიდებელმა საკონსტრუქტორო ბიურომ. პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ ახალ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა საქმიანობას, მიიღწიონ იმას, რომ ისინი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ წარმოებას.

ამხ. გეგეშიძე ლაპარაკობს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფართო განვითარებაზე, ასახელებს წარმოების ნოვატორებს. მაგრამ, აღნიშნავს იგი, მთელ რიგ შემთხვევებში პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები განზე უდგანან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, ჯეროვან დახმარებას არ უწევენ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს.

მოხსენებაში და ორატორთა გამოსვლებში ყურადღება მიექცა იმას, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები არ ზრუნავენ მატერიალური რესურსების ეკონომიისათვის, არ უფრთხილდებიან სახელმწიფო თანხებს, ანალიზს არ უკეთებენ ეკონომიურ და ფინანსურ მაჩვენებლებს.

ზოგიერთ ქარხანასა და ფაბრიკაში, განსაკუთრებით მსუბუქ და კვების მრეწველობაში, არ ზრუნავენ დადგენილი ნომენკლატურის დაცვისათვის, ყურადღებას არ აქცევენ მზა პროდუქციის ხარისხსა და გარეგან გამოყვანას. განსაკუთრებით ცუდია პროდუქციის ხარისხი სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკებში, თბილისის სარეწაო არტელებსა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში. ბევრი მათგანი მთლიანი პროდუქციის გეგმის შესრულების გამოდეენების გამო უშვებს ნაკლებ შრომატევადს, მაგრამ სამაგიეროდ მათთვის უფრო ხელსაყრელ ნაწარმს. მაგალითად, საქართველოს სარეწაო საბჭოს სარეწაო არტელებმა დადგენილი 58 სახეობის პროდუქციიდან დაავლება ვერ შეასრულეს 37 სახეობაში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, მისი სამმართველოები ახლა უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად ხელმძღვანელობენ ქალაქის საწარმოებს, ვიდრე ეს წინათ იყო, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციამდე. მაგრამ ამასთან ერთად რესპუბლიკის **სახალხო მეურნეობის საბჭოს საქმიანობაში ქალაქის სამრეწველო** საწარმოთა ხელმძღვანელობის **მხრივ ჯერ კიდევ** არის **სერიოზული ნაკლოვანებანი. იმის გამო, რომ ქალაქში** არ არის სპეციალიზებული სამსხმელო საწარმოები (გარდა ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნისა), ბევრი წვრილი და ნახევრად შინამრეწველური სამსხმელო საამქრო ხშირად უშვებს წუნს და ძალიან ძვირ პროდუქციას. ქალაქში სხმულის წარმოებაზე მუშაობს 50-მდე საწარმო, მათ შორის ისეთებიც, როგორიც არის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1 და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი. ასეთივე მდგომარეობაა სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის, ლითონის ნაწარმის, ინსტრუმენტებისა და სათადარიგო ნაწილების წარმოებაში.

სახალხო მეურნეობის საბჭომ და მისმა სამმართველოებმა დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრან მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალიზაციასა და კოოპერირებასთან ქალაქის მრეწველობაში.

ამხ. გეგეშიძე შეეხო საქალაქო მშენებლობის საკითხებს. მან დაახასიათა კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა დიდი მოცულობა, რომელიც თბილისში ხორციელდება შვიდწლიანი გეგმის შესაბამისად.

შარშან ქალაქში საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის სახელმწიფო გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. თბილისის მოსახლეობამ მიიღო 111.800 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. ეს მეტია, ვიდრე საექსპლოატაციოდ იყო გადაცემული 1951-1954 წლებში, ესე იგი ოთხ წელიწადში. უაღრესად დადებითი გავლენა მოახდინა თბილისში მშენებლობის მსვლელობაზე წვრილი სამშენებლო ორგანიზაციების გაერთიანებამ და საქალაქო აღმასკომთან მთავართბილისმშენის შექმნამ. თუ გაერთიანებამდე 1956 წელს ყველა ამ წვრილმა სამშენებლო ორგანიზაციამ საექსპლოატაციოდ გადასცა 19 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, შარშან მთავართბილისმშენმა ააგო 50 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი, ხოლო 1959 წელს მან უნდა ააშენოს 70 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მოხსენებაში და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, სამრეწველო მშენებლობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ფოლად-თუჯსამსხმელო, ელექტროსაშენებელ, კირთვის სახელობის ჩარხსაშენებელ, სახეხი ჩარხებისა და საინსტრუმენტო ქარხნებში და ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის ახალ საწარმოებში.

1959 წელს მშენებლებმა ქალაქის მოსახლეობას უნდა ჩააბარონ 115 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. არის შესაძლებლობა, თუ მთელი რესურსების მობილიზაციას მოვახდენთ, მნიშვნელოვნად გავადიდოთ ეს ციფრი, მაგრამ ამის მისაღწევად საჭიროა უფრო ფართოდ დაინერგოს მშენებლობებზე სამუშაოთა ინდუსტრიული მეთოდები, ახალი ტექნიკა, პროგრესული კონსტრუქციები და ეფექტიანი მასალები ასაწყობი რკინაბეტონის მსხვილი ბლოკებისაგან, შემცირდეს შრომითი და მატერიალური ხარჯები.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს საბინაო მშენებლობის სამუშაოთა დაბალი ხარისხი. საექსპლოატაციოდ გადაცემულ მთელ რიგ სახლებში კარ-ფანჯრები არ იკეტება, პარკეტი დაგებულია ცუდად, ჭერებსა და კედლებზე გაჩნდა ბზარები. მომხსენებელი ამბობს, რომ საჭიროა წესრიგი დამყარდეს ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში, რომლის მოცულობა შვიდწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მოხსენების საბოლოო ნაწილი მიეძღვნა საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს. ისინი უფრო ახლო დგანან მასებთან, ადამიანებთან, წარმოებასთან. აღინიშნა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ არ უწევენ მათ ჯეროვან პრაქტიკულ დახმარებას პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში. ყველა პარტიულ ორგანიზაციას როდი ესმის სწორად და როდი ახორციელებს კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, როდი ეწევა ყოველდღიურ ბრძოლას წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის. პარტიულ კრებებზე და რაიკომის ბიუროს სხდომებზე მრეწველობისა და მშენებლობის მუშაობის ცალკეულ საკითხთა განხილვას ზოგჯერ ფორმალური, ზერელე ხასიათი აქვს. მიღებული გადაწყვეტილებანი ხშირად ქაღალდზე რჩება.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. ამ მუშაობაში ძირითადი და მთავარი უნდა იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების ფართო პროპაგანდა.

კრება იწყებს მოხსენების განხილვას. პირველი გამოდის საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი **კ. ნ. გოგლიძე.** იგი ლაპარაკობს დიდ შრომითს აღმავლობაზე ქალაქის უდიდესი სამრეწველო რაიონის საწარმოებში. ორატორი აკრ

ხალხის რჩეულნი

დეპუტატობის კანდიდატები

დაუცხრომელი დოსტაქარი

ძნელია იმის თქმა, რა უფრო იზიდავს ამ დაუცხრომელ ადამიანს—რთული ოპერაციის გაკეთება, სამეცნიერო მუშაობა, მთავარი ქირურგის მოუსვენარი საქმიანობა თუ ხალხის მსახურის საპატიო როლის განხორციელება. ძნელია იმიტომ, რომ სოკრატ იაკობის-ძე არშბა ყველა ამ პასუხსაგებ მოვალეობას არაჩვეულებრივი გულისყურით, სიყვარულითა და უშუალობით ასრულებს.

აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სოკრატ იაკობის-ძე არშბას სტაციონარულ სამოლვაწეო ბაზას პროფ. ა. ოსტროუმოვის სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილება წარმოადგენს. ეს ის ბაზაა, სადაც სოკრატ იაკობის-ძე მაღალი ოსტატობითა და ღრმა მეცნიერული გადაწყვეტით ახორციელებს ურთულეს ოპერაციებს, იგი არა მარტო საყოველთაოდ ცნობილი და ფასდაფასებული ქირურგიული ოპერაციების ვირტუოზია, არამედ აღმფრთოვანებელი გამბედაობას იჩენს ყოველივე ახლის დანერგვისათვის.

კარგი დოსტაქარის სახელი სოკრატ არშბას თვითმიზნად არასოდეს არ გაუხდია. ყოველი ოპერაცია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას ისახავს მიზნად. მაგრამ რა კარგადაც არ უნდა გაკეთდეს ოპერაცია, ავადმყოფის მოვლას ოპერაციის შემდგომ პერიოდში მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არის, რომ იგი დღედაღამ არ შორდება თავის პაციენტებს და ყოველ შეხვედვას ისეთივე სერიოზულობით აკეთებს, როგორც მტად პასუხსაგებ ოპერაციას. თავისებური ალღო, რაც ღრმა ცოდნასა და დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას ემყარება, მას საშუალებას აძლევს სწრაფად გაერკვეს ვითარებაში და ავადმყოფის სიცოცხლე საფრთხეს გადაარჩინოს.

ზოგჯერ მოხდება ისე, რომ ავადმყოფი კატეგორიულ უარს აცხადებს ოპერაციაზე. ახალგაზრდა დოსტაქრები ჭმუნვას მიეცემიან, რადგან ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ამ დროს პალატაში შემოდის სახეგალიმებული, უაღრესად გულთბილი და გულისხმიერი სოკრატ იაკობის-ძე. მის შთამბეჭდავ გამოხედვას დამაჯერებელ, ხანდახან ხუმრობის კოლოთი ნათქვამ, ახსნა-განმარტებას ავადმყოფი უყოყმანო თანხმობამდე მიაყავს. სოკრატ არშბას მადლიან მარჯვენას მრავალი ავადმყოფი უხსნია განსაცდელისაგან. აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგის პასუხსაგებმა თანამდებობამ, რომელსაც სოკრატ იაკობის-ძე მრავალი წელია ასრულებს, იგი „ბომთაბარულ ცხოვრებას" შეაჩვია. ხშირად არის ხოლმე, როცა დილით ოჩამჩირის რაიონში გაემგზავრება და საღამოს ან მეორე დღეს კი გაგრიდან დაბრუნდება. შინაც კი ვერ შეივლის დასასვენებლად ამ მოგზაურობის დროს.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს სოკრატ იაკობის-ძე არშბას აფხაზეთის მშრომელები იცნობენ როგორც სახელოვან ქირურგს, ხალხის საიმედო შვილს, ენდობიან მას და არც სცდებიან. რამდენჯერ არის, რომ ოპერაციის დამთავრების შემდეგ დაღლილ დოსტაქარს საავადმყოფოშივე უხდება ამომრჩეველთა მიღება, მათი მოსმენა და ახსნა-განმარტების მიცემა. თავის სადეპუტატო მოვალეობას იგი ყოველთვის კომუნისტური პრინციპულობით ასრულებს. ამიტომაც არის, რომ სოკრატ არშბა ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სიმონ ხუნდაძე.
აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ოსტროუმოვის სახელობის ქირურგიული საავადმყოფოს ორდინატორი.

წარჩინებული მეჯარხლე

საღამოხანი იყო. სამუშაოდან ბრუნდებოდა. გზაში შეატყობინეს, კოლმეურნეობის კანტორაში გიბარებენო. ნადეედა იაგორის ასული მახარაშვილი კანტორის ძვირი სტუმარი იყო. მგრამ ახლა სახლში არც კი შესულა, პირდაპირ კანტორაში გამოცბადდა.

ამ დღეს სოფელ ზემო ოსიაურის (ხაშურის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ მოწონაე კოლმეურნე მეორე ბრიგადის № 1 რგოლის ხელმძღვანელად აირჩია. ამის შემდეგ მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო. რგოლი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, სისტემატურად ზრდის შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების მოსავლიანობას.

ნადეედა მახარაშვილი თავის ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ფართოდ აცნობს ხსვებსაც. ახლა ზემო ოსიაურის კოლმეურნეობაში ბევრია ისეთი მუშაკი, რომელიც 150-200 პროცენტით ასრულებს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმას. მათ შორის ახალგაზრდებიც არიან. შარშან ნ. მახარაშვილის რგოლის წევრებმა ნანული ტუსაშვილმა, ნაზიკო და ლილი ხაჩიძეებმა, რომლებმაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კოლმეურნეობას მიაშურეს, 40-50 პროცენტით გაზარდეს ჭარხლის მოსავლიანობა.

შარშან ნადეედა მახარაშვილის რგოლის წევრებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების მოსავლიანობის გეგმები. პირადად ნ. მახარაშვილს მოსავლელად მიჩენილი ჰქონდა 0,45 ჰექტარი შაქრის ჭარხლის პლანტაცია, მან ჰექტარზე გაანგარიშებით 482 ცენტნერი მოსავალი მიიღო, გეგმა კი 250 ცენტნერს ითვალისწინებდა.

მოწინავე მეჯარხლე ამჟამად წარმატებით ემზადება, რომ წელს კიდევ უფრო მაღალი მოსავალი მოიყვანოს.

სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის წევრებმა დიდი პატივი დასდეს თავიანთ თანასოფელელს ნადეედა მახარაშვილს, კვლავ წამოაყენეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გომის № 94 საარჩევნო ოლქში.

ვ. ბურგენიძე.

— ზოგი დაიბადება და უსიცოცხლოდ წევს, — გვიამბობს შედეა, — ფეხზე უნდა დავაყენო და ძალით დავალეკინო რძე, თორემ ვინ იცის რა დაემართება. ზოგი მოსვენებას არ იძლევა, თავის ჯერს არ უცდის, რძე მალე მომეცითო. მომიახლოვდება და თითს გავუწვდი. წოვს, ჰგონია რძეს სვამს. სუფთა ჰაერზე მწვანიანზე რომ გავიყვან, შორიახლოს მივლიან, მიყურებენ. თუ რომელიმე მაიგანს ხელი გადავუსვი, მომეკვრება მომეალერსება. მე ამათ დასვენების საათი შემოუღე. სამი საათიდან ოთხ საათამდე მარტო ვტოვებ. გადაიკეტება ბოსლის კარი და ადამიანის შვილი ვერ შეგა შიგ. მარტო არიან. არავინ აწუხებს. წვანან და თვლემენ. გავაღებ კარს, შეიჭრება სინათლის შუქი და თითქოს ხელმეორედ გათენდაო, იღვიძებენ, წამოდგებიან და მიმორბიან ბოსელში, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო.

— ამას წინათ დიდი თოვლი მოვიდა, — განაგრძობს მედეა, — გადათეთრდა მწვანიანიც და ირგვლივ მთაბარი. ხუთი დღე ხბოები დამწყვიდეული მყავდა. გარეთ არ ვუშვებდი. პატარები არიან, შესაცივდებათ-მეთქი. მათ კი მოიწყინეს. კუჭოღლებიანთ დაიკვეტილი ყურები ჩამოჰყარეს. სულ კარისკენ იცქირებოდნენ და იქითკენვე მიიწევდნენ. მაგრამ კარი გადაკეტილი ხვდებოდათ. მერე მზე ამოვიდა, თოვლი გაალღო, დათბა და პირველად გუშინ გავიყვანე გარეთ. ყველაზე ცელქი და სასაცილო ხბო ნისლა სიხარულისაგან შეკუნტრუშდა და გაიქცა. ყველა ხბო უკან დაედევნენ. შემეშინდა არ დაკარგულიყვნენ, მათ ხომ არც ბინა იციან, არც მისკენ მისასვლელი გზა.

— ნუ გეშინია, არაფერ წაგლეს!—მეუბნება მწყემსი, ჩემი კეთილისმყოფელი მანანა მჭედლიშვილი, მაგრამ მე მაინც გულმა არ მომითმინა, უკან დავედევნე. ვინახავს შემოუბრუნეს. დაღლილიყვნენ და სადღაც ხევის პირას დაწოლილიყვნენ. ამ დროს მეც მივედი და გამოვრეკე. დიდი გაძლება უნდა ამათ, დიდი! — ღიმილით დასძინა მედეამ.

დასვენების საათში მწყემსები და მეხბორეები ბრიგადირის ოთახში თავს იყრიან. დილის ექვსი საათიდან ფეხზე ტრიალებენ და დაღლილები, ძროხების მეორედ მოწველის წინ, ძალღონეს იკრებენ. მწყემსი ილო ვარსემაშვილი მკერდზე ფანდურს იხუტებს და ტკბილად დაამღერებს:

„ავიღე ჩემი ფანდური,
კოხტად ჩამოვკარ ხელია"..

და ზეპირად თქმული ლექსებით იგონებს დიდ სამამულო ომს, სადაც

„ბევრ დედას შვილი მოუკლეს,
ბევრი ქალსა კარგი ქმარია"...

და ბოლოს —

„დაბრუნდნენ ქართველის ბიჭები,
ლომებთან შესადარია..."

სიამოვნებით უსმენენ ფანდურის სიმებზე აწკრიალებულ ბგერებს და ეძლევიან ნამდვილ დასვენებას, რომ განახლებული ძალღონით კვლავ განაგრძონ შრომა. მათ ფერმასაც აქვს თავისი შვიდწლიანი გეგმა. კომუნიზმის მშენებელთა ყრილობამ ისინიც აღაფრთოვანა. თავიანთ პატარა უბანზე მათაც დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი. მედეამ მშვენივრად იცის, რომ ცოდნას შრომა განამტკიცებს და ამაღლებს, შრომას კი სწავლა. ამიტომ არის, რომ იგი, ოცდაერთი წლის ქალიშვილი, კარგად დახელოვნებული მეხბორე, უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. საქართველოს საოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსის სტუდენტია.

ამას წინათ მედეა მირიანაშვილი ანაგელმა კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. ანაგელებს შეუერთდნენ ვაქირისა და საკობოს კოლმეურნეები, რადგან მედეა მირიანაშვილს ამ სოფლების კოლმეურნეები იცნობენ და უყვართ კიდეც, როგორც ნაბერწკალივით სწრაფი და საქმისათვის თავდადებული ადამიანი.

მედეა მირიანაშვილისთვის აქ მოთხრობილი ამბები მხოლოდ მოგვალი ცხოვრების დიდი ბიოგრაფიის დასაწყისია.

ნაპერწკალი

სამამულო ომი მძვინვარებდა. ანაგელი კოლმეურნე დიმიტრი მირიანაშვილი ფრონტის ერთ-ერთ უბანზე იბრძოდა. მისი მეუღლე თამარი ამ დროს ალაზნის ველზე, მოლარის ნაკვეთებზე, სიმინდის აღებაზე მუშაობდა. შინ კი, მათი უმცროსი გოგონა შვიდი წლის მედეა ღელავდა.

პირველი სექტემბრის დილა თენდებოდა და მედეა სკოლაში უნდა მოწყობილიყო...

კარგა გათენდა. მის წინ სკოლაში მიმავალმა ბავშვებმაც ჩაიარეს; ალბათ სულ მალე სწავლის დაწყების ზარიც აწკრიალდებოდა... ღელავდა და შფოთავდა პატარა... გულმა ვეღარ მოუთმინა და გაიქცა სკოლისაკენ. კიბეებზე სწრაფად აირბინა და იმ ოთახში შევიდა მოკრძალებით, რომელშიც უფროსები დაინახა.

— რა გინდა, გოგონა?

— სწავლა! — ძლივს გასაგონი ხმით მიუგო ბავშვმა.

— ვისი ხარ?..

— მირიაანთ დიმიტრისა.

მასწავლებლებმა ერთმანეთსაც და ბავშვსაც ღიმილით გადახედეს. მერე მასწავლებელმა ანიკო ტურიაშვილმა ხელი მოჰკიდა და თავის კლასში წაიყვანა. პირველ მერხზე დასვა. ბავშვის გულში და გონებაში იმ დღეს აინთო სინათლის პირველი ნაპერწკალი. თერმეტი წელიწადი ღვიძოდა იგი და სწავლისადმი სიყვარულის ალად გადაექცა. მედეას სასკოლო ცხოვრების ბოლო სიხარული ის იყო, როდესაც მეთერთმეტე კლასისთვის დახურული პაკეტი გახსნეს და სხვა თემებთან ერთად გურამიშვილის შემოქმედებაც იყო დასახელებული. ზეპირად იცოდა „სწავლა მოსწავლეთა", „ქართლის ჭირი", „ქაცია მწყემსი".

თვრამეტი წლის ქალიშვილმა წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და თავისთავად წამოეჭრა კითხვა: ახლა? „ახლა კი შრომა!" — გადაწყვიტა მაშინვე.

და იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მივიდა.

თავმჯდომარე, გიორგი მჭედლიშვილი, ჭარმაგი ვაჟკაცია. ის ოცდახუთი წელიწადია ანაგაში მუშაობს ჯერ მასწავლებლად, მერე სასოფლო საბჭოს, ბოლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ის ყველა ოჯახს იცნობს. კარგად იცის, ვის რა უჭირს ან ვის რა ულხინს.

— სკოლა დავამთავრე და ახლა მუშაობა მინდა! — მოკრძალებულად მიმართა მას მედეამ.

თავმჯდომარემ შეხედა აღელვებულ ნაზ გოგონას. ულიმოდა სახე... ფიქრობდა, ნეტავი რის გაკეთებას შეძლებს პირდაპირ სკოლის მერხიდან მოსული ბავშვი?

— აი, მაგალითად, ფერმაში მამუშავეთ!

— მძიმეა!

— აი, სწორედ ეგ მინდა. იყოს მძიმე! ჩაფიქრდა თავმჯდომარე. შრომის მოსურნე ქალიშვილს უარით გასტუმრება აღარ უნდოდა.

— შეხბორედ იმუშავებ? — შეეკითხა.

— სიხარულით! — მიუგო მაშინვე.

იმ დღეს ძალიან დიდი საქმე იკისრა მედეამ. ხბორები ხომ ბავშვებივით არიან, პირველ დღეებში უსუსურნი და უმწეონი. ხელით უნდა აწოვო რძე. ისე უნდა მოუარო, რომ არც აღერსი მოაკლო, არც ზრუნვა. ცოტა წამოიზრდებიან და ისე ცელქობენ, ისე დახტიან, რომ თვალსა და ხელს შუა გაგიქრებიან, გადაირბენენ ვენახებში, მინდვრებში, კლდე-ღრეში. მერე წადი და ეძებე. არც გზა იციან, არც კვალი. დატუქსავ თუ? ან და გაგიგებენ? განუწყვეტლივ თვალყური უნდა ადევნო და სულ მთის მოვლა-პატრონობაში იყო. მუდმივად ოცი თუ ოცდაათი ხბოა. ერთნი იზრდებიან, დეკეულებში თუ მოზრდილში გადაჰყავთ, მაგრამ მეორენი ჩნდებიან. დიდი სირცხვილია ფერმისათვის მოზარდს დაცემა თუ დაკარგვა... მედეა თამამად შეუდგა შრომას. როდესაც სახბორეში პირველად შევიდა, შენიშნა, რომ ხბოები, თითქმის ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ, ყველას კი თავ-თავისი სახელი ერქვა.

მედეამ პირველ დღეებშივე ალღო აიღო თავის საქმეს. ფერმაში დახვდნენ უფროსები — მწველავი ქალები და მამაკაცები. აი, მაგალითად, მწყემსი მანანა მჭედლიშვილი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი და კოლმეურნეობის გამგეობის წევრი. მუყაითი მწყემსი ილო ვარსემაშვილი, კარგი მეფუანტერე და საუცხო ლექსების მთქმელი. მანანა მჭედლიშვილი პირველი დღეებიდანვე ეხმარებოდა მედეას. არიგებდა, ასწავლიდა, როგორ ემუშავნა, როგორ მოეკლო ხბოებისათვის, რომ ყველაფერი წესრიგში ჰქონოდა. ბრიგადის წევრებმა მედეაში დაინახეს საქმისათვის ერთგული ადამიანი და შეუყვარდათ კიდეც. ეს სიყვარული დაიმსახურა მან. თავს არა ზოგავდა მეგობრებისთვის.

— ეს გოგო ნამდვილი ნაპერწკალია!— თქვა ერთხელ თავმჯდომარემ მის შესახებ და სახელადაც შეერქვა, რადგან ბრიგადაშიც ასე იცნობდნენ მედეას.

მან ხომ არ იცოდა დაყოვნება, საქმის გადადება და მინელება, უცებ ნაპერწკალივით გავარდება ხოლმე, ყოველთვის დაუზარელი და სხარტი.

სამი წელი სრულდება, რაც მედეა ფერმაში მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი დეკეული გაზარდა, რომლებიც სადაც არის მოიგებენ და მეწველებად გადაიქცევიან, ახლა მათს გაზრდას შეუდგება.

მედეას ძალიან შეუყვარდა ხბოები. ის იძულებულია თვითეულ მათგანს ისე მოეკეცს, როგორი ხასიათიც აქვს.

საბჭოების არჩევნები

ხვალ, 15 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებია. საბჭოების არჩევნები უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში და ადგილობრივ საბჭოებში არჩეულ უნდა იქნას 40.981 დეპუტატი.

დიდი და პასუხსაგებია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი თანამედროვე პირობებში. ეს როლი ჩვენი ქვეყნის ყველა საქმის მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში სულ უფრო იზრდება. „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, — ამბობდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ქ. მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე, — არიან სახალხო ხელისუფლების არჩევითი ორგანოები, სახალხო თვითმმართველობის ორგანოები, მშრომელთა ყველაზე ფართო წარმომადგენლობითი ორგანიზაციები, რომლებიც მათს ნებას გამოხატავენ".

საბჭოების არჩევნები დაემთხვა იმ ღირსშესანიშნავ დღეებს, როცა ქართველმა ხალხმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ფართოდ გააღაღა ძლევამოსილი ლაშქრობა პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, შვიდწლედის დიდებული პროგრამის შესასრულებლად.

კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმები ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოგვიწოდებენ. არასოდეს ისეთი ძალით არ ჩქეფდა სახალხო ინიციატივისა და შემოქმედების წყარო, როგორც ახლა, ამ დღეებში. პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, წარმატებით იბრძვის შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად. რესპუბლიკის მრეწველობამ გასული წლის ხაერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,2 პროცენტით შეასრულა და წარმატებით დაიწყო შვიდწლედის პირველი წელი.

საბჭოების არჩევნებს ახალი შრომითი წარმატებები მიუძღვნეს საქართველოს მშრომელებმა. საწარმოო მიღწევებით ხვდებიან არჩევნების დღეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნების, სართავ-სატრაქტორო კომბინატის, ქარხანა „ელექტროავტომატის", ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ქუთაისის მაუდის ფაბრიკის, გორის ბამბეულის კომბინატის, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივები. არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან ჭიათურელი მაღაროელები. სახელმოხვეჭილი მაღაროელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ტრიფონ ფოფხაძე ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებს. დიმიტროვის სახელობის მაღაროს ამწეველი, ჭიათურის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ტ. ჭიღლაძე ცვლაში 16 ტონა მარგანეცის ნაცვლად 25-27 ტონას იძლევა. ასეთი მაგალითი მრავალია რესპუბლიკის სხვა საწარმოებშიც.

მ. ლელაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

ხალხის წიაღში დაიბადა ახალი მძლავრი მოძრაობა — კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა. ახალგაზრდობის შესანიშნავი თაოსნობა — კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნა — მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო. საქართველოში ამ დიდი საქმის დაწყებად გამოვიდა ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის აგლოსაბრძმედე საამქროს ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი არჩილ ძამაშვილი. თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ინიციატივით ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება დიდი პატრიოტული მოძრაობა შვიდწლედის ვადამდე შესასრულებლად.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ერთ-ერთი გამოხატულებაა ძვირფასი ინიციატივა, რომლითაც გამოვიდა ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი. ავტომშენებლებმა ვალდებულება იკისრეს თვითეულ მომუშავეზე გეგმის ზვითი დანაზოგით შვიდწლედის ფონდში 1959 წელს შეიტანონ რამდენიმე მილიონი მანეთი. შვიდწლედის მოწინავე ხაზზე დგანან ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკები — მეჩაიეები და მეციტრუსეები, მევენახეები და მეცხოველეები.

შვიდწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნით შრომელთა დეპუტატების საბჭოებს. იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც პარტიამ უკანასკნელ წლებში მიიღო, საბჭოების მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. ამაღლდა მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, გაიზარდა მათი პასუხისმგებლობა სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში.

საბჭოების შემადგენლობა ახალი დეპუტატებით, ახალი ძალებით ივსება. შრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებმაც უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა, ამომრჩევლებმა დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს საუკეთესონი საუკეთესოთა შორის. დეპუტატობის კანდიდატთა შორის არიან გამორჩენილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობისა და ტრანსპორტის ნოვატორები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები და სპეციალისტები, მეცნიერებისა და კულტურის სახელგანთქმული მოღვაწეები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის დასახელებულ კანდიდატთა შორის არიან თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის ნოვატორი მჭედელი კონსტანტინე ილურიძე, ცნობილი ზესტაფონელი მეტალურგი ბაგრატ მელქაძე, ფოთის წისქვილკომბინატის მუშა ალექსანდრა სოლომონია, ყვარლის რაიონის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე ალექსი ყორნაშვილი, ქობულეთელი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი მერი მჟავანაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი და სხვები.

მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე, რომლებიც ყველგან განსაკუთრებული აღმავლობის ვითარებაში მოეწყო, ამომრჩევლებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს ყველა დასახელებული კანდიდატი.

წარმატებით მოეწყო საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი — აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ, რასაც ეწეოდნენ მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე არჩეული ნდობით აღჭურვილი პირები და აგიტატორები. ყველა დასახელებული კანდიდატი შეხვედა თავის ამომრჩევლებს. შეხვედრების დროს საარჩევნო ოლქის ყველა მოქალაქეს საშუალება ჰქონდა პირადად გასცნობოდა დეპუტატობის კანდიდატს, მის ბიოგრაფიას, შრომითს და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მის დამსახურებას სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე.

ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კომისიებში არჩეულ იქნა 139.672 კაცი, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს არჩევნების ორგანიზებულად მომზადებისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია თვალყურს ადევნებს იმას, რომ საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე განუხრელად სრულდებოდეს „დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ". კომისიამ დროულად დაწერა საარჩევნო ყუთების ნიმუშები, საარჩევნო ბიულეტენების ფორმა და ფერი, დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმის ფორმა, საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმების ფორმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობის ფორმა, საარჩევნო კომისიების ბეჭდების ნიმუშები. საარჩევნო კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მზადების მთელი რიგი საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება დასასრულს უახლოვდება. საარჩევნო კომისიებს, ნაცვლად ათი დღისა, როგორც წარსულ არჩევნებში ხდებოდა, სამი დღით ადრე დაეგზავნათ საარჩევნო ბიულეტენები. მიღებულია ღონისძიებანი შორეულ სოფლებთან, დასახლებულ პუნქტებთან მტკიცე კავშირის დამყარების უზრუნველსაყოფად. ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია ისეთი რაიონი, სადაც გართულებულია მიმოსვლა, მაგალითად, მთათუშეთის, სვანეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის და ზოგიერთი სხვა რაიონების სოფლებში. საჭიროა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს კავშირგაბმულობის მოწყობილობის შეუფერხებელი მუშაობა.

ქართველი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდა საბჭოების არჩევნებში დიდი ერთსულოვნებითა და დარაზმულობით. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტმა, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,97 პროცენტმა. უეჭველია, ახლანდელი არჩევნების დროსაც საქართველოს მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით, ერთსულოვნად ძველებს საარჩევნო უყუთებთან და სიხარულით მისცემენ ხმას ჩვენი სამშობლოს ღირსეულ შვილებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ხელს შეუწყობს პარტიისა და ხალხის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას, ახალი ძალით ცხადყოფს ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მის მჭიდრო დარაზმულობას ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო.

დავამყაროთ მტკიცე წესრიგი საზოგადოებრივი კვების ქსელში

მუშათა სასადილოები — უურადღების ცენტრში

— ჩვენი კვების საამქრო, — თქვა თბილისის სორთქლმავლო დეპოს ზეინკალმა ბ. ხმიადაშვილმა, — ძალიან მოსწონთ ჩვენს მუშა-მოსამსახურეებს. გვიხარია შიგ შესვლაც და გემრიელი სადილებიც...

მართლაც მიმზიდველია რკინიგზის თბილისის მუშათა მომარაგების განყოფილების № 8 სასადილოს ნაგელი. კეთილმოწყობილი დარბაზი. უურადღებას იპყრობს სუფთა მაგიდები, ჭურჭელი, ყვავილთა თაიგულები. აქ ყოველთვის დაცულია სანმელების ასორტიმენტი. ოცდაორი წელია ამ სასადილოს ხელმძღვანელობს კომუნისტი ქალი ე. ლოგუა.

შემთხვევითი როდია დასახელებული სასადილოს საჩივრისა და წინადადებათა წიგნში ჩაწერილი სიტყვები: „ზესტაფონის რაიონიდან ჩამოვედი თბილისში შეკეთებული ორთქლმავლის მისაღებად, სადილებზე წასვლა შორს არ დამჭირვებია. საორთქლმავლო დეპოს სასადილომ მეტად კმაყოფილი დამტოვა, კერძები სურნელოვანი და გემრიელია. შემანქანე ი. ცინცაძე".

მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საქმე კარგად მოაწყეს აგრეთვე საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს, მაუდ-კამეოლის კომბინატის და სხვა საწარმო-დაწესებულებებთან არსებულმა მთელმა რიგმა სასადილოებმა, ბუფეტებმა.

საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაკები მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ". კვების დარგის მოწინავე მუშაკთა შორის ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება კვების საქმის უკეთ დაყენებისა და მშრომელთა კარგი მომსახურებისათვის.

საზოგადოებრივი კვების ქსელში გარკვეულ წარმატებათა მიუხედავად, მთელ რიგ ობიექტებში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დამახინჯებებს. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივს მომსახურებას უწევს № 80 სასადილო (დირექტორი პ. მიქაძე). აქ კვების მრავალი მუშაკი ენერგიულად შრომობს მომხმარებელთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის. მაგრამ ნაკლიც აქვთ. მაგალითად, ღვეზელის დამამზადებელმა კ. დავთაშვილმა ფაქტურის გამოუწერლად გადასცა მებუფეტე ე. შერეზადაშვილს გასაყიდად 20 ცალი ხაჭაპური და 40 ცალი ღვეზელი. მებუფეტე ე. შერეზადაშვილმა შუა ი. გელაშვილს ღვეზელში ზედმეტად 80 კაპიკი გადაახდევინა. კერძების გაცემის ნორმები დაარღვია მზარეულმა რ. მუშვილდიშვილმა.

გაფართოებას მოითხოვს ამ სასადილოს სამზარეულო, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებებს. სასადილოში ცოტა კეთდება ბოსტნეულის კერძები.

საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევა მოხდა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანასთან არსებულ № 112 სასადილოში. მებუფეტე ს. შამოევმა მომხმარებელს ერთი მანეთი ზედმეტი გადაახდევინა.

არასასურველია სურათის წაკაწყდით რკინიგზის თბილისს სადგურის მახლობლად მდებარე № 86 სასადილოს წინ. მუშა-მოსამსახურეები სასადილოს კარამდე ძლივს მაარღვევდნენ ტალახს. აქვე ეზოში ნაგვის გორები დგას. ანტისანიტარიას ხელს უწყობს ისიც, რომ საპირფარეშო, რომელიც აქვე იყო, მოუსპიათ.

შეკეთებას მოითხოვს ასფალტ-ბეტონის ქარხანასთან არსებული სასადილოს სამზარეულო. სად

უშიშროებისა და სამხედრო დაძაბულობის შენელებისათვის

მაკმილანი ბონში აწყობს მოლაპარაკებას

ცემა-ტუეკა საბერძნეთის პარლამენტში

ერაყში ამგოხებამ ხალხის გულისწყრომა გამოიწვია

ყოველი მხრიდან

ე. ოლენჰაუერის გამოსვლა რადიოთი

ბონი, 12 მარტი. (საკდესი). გუშინ რადიოთი გამოვიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ე. ოლენჰაუერი. მან ილაპარაკა თავის საუბარზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ს. ხრუშჩოვთან ბერლინში, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარ კონტაქტებს დიდი სარგებლობა მოაქვს. ოლენჰაუერმა კმაყოფილება გამოთქვა ამ საუბრის გამო და განაცხადა, რომ იგი იყო სასარგებლო და ორივე მხარისათვის საჭირო. „ეს იყო, — თქვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, — საჭირო და საქმიანი საუბარი".

„ჩემი აზრით, — თქვა ოლენჰაუერმა, — უშიშროებისა და სამხედრო დაძაბულობის შენელების საკითხს ამჟამად უპირველესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისათვის. დასავლეთმა უნდა გადაწყვიტოს და რაც შეიძლება მალე, აპირებს თუ არა იგი აწარმოოს სერიოზული მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ბლოკების გაშორიშორების, სამხედრო დაძაბულობის შენელების ზონის შექმნის საკითხზე. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, ფედერაციულ რესპუბლიკას. ჩემი აზრით, ასეთი ცდა შეესაბამება ევროპისა და გერმანიის ინტერესებს და იგი უნდა განხორციელდეს"...

ნიშანსვეტი სოციალიზმის გზაზე

ვარშავა, 11 მარტი. (საკდესი). ვარშავაში მუშაობას განაგრძობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის III ყრილობა. ყრილობამ დღევანდელ დილის სხდომაზე მოისმინა ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ს. სტახაჩმა.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ს. იგნარი და დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ს. კულჩინსკი.

კამათში პირველი გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პარტიის კატოვიცის სავოეკოდო კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი. კატოვიცის სავოეკოდოს მშრომელები, თქვა მან, უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებოდნენ პარტიის მესამე ყრილობასათვის. სილეზიის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელშიც 120 ათასი კაცი ირიცხება, საესებით დაუჭირა მხარი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს და მოიწონა ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის დირექტივები, რომლებსაც ეს ყრილობა განიხილავს.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ლუბლიანის სავოეკოდო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. კოზდრასა და ქალთა ლიგის (ლოძი) თავმჯდომარის ი. კალინოვსკაიას გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის (რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის III ყრილობაზე ჩამოვიდა) ხელმძღვანელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. გ. იგნატოვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა წევრის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მან მხურვალე ძმური სალამი გადასცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობას და მისი სახით მთელ პარტიას, მთელ პოლონელ ხალხს. მან აგრეთვე გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით გულითადი სალმი ყრილობას და უსურვა წარმატებით მუშობა. სიტყვის დასასრულს ნ. გ. იგნატოვმა წაიკითხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მესამე ყრილობისადმი.

ნ. გ. იგნატოვის სიტყვას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას ყრილობის დელეგატები მჭეხარე ტაშით შეხვდნენ.

ამით დამთავრდა დღევანდელი დილის სხდომა.

საღამოს სხდომაზე ყრილობას მიესალმა ჩინეთის პარტიული დელეგაციის ხელმძღვანელი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჟუ დე.

შემდეგ ყრილობაზე გამოვიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ნაშკოვსკი, ნოვოტკას სახელობის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ზ. კშესიმოვსკი, ტორუნის უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ზ. ნაიდოვსკი, კრაკოვის სავოეკოდო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. მოტიკა.

ყრილობას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის პარტიული დელეგაციის ხელმძღვანელმა რ. ბარაკმა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელმა გ. მატერნმა.

ერაყის ამბების დაწვრილებითი ცნობები

ბაღდადი, 11 მარტი. (საკდესის კორ.). მთავრობის საწინააღმდეგო მეთქმულება, რომელსაც მეთაურობდა მოსულის რაიონში განლაგებული მე-5 ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი შავაფი, შემუშავებული იყო ერაყის მეზობელი ქვეყნების იმ წრეების მონაწილეობით, რომლებიც მტრულად ეკიდებიან დამოუკიდებელ ეროვნულ პოლიტიკას, რასაც ადგილ ქერიმ კასემის მთავრობა ახორციელებს. შეთქმულება მზადდებოდა აგრეთვე უცხოელ იმპერიალისტთა დასტურით, რომლებიც, როგორც ერაყის პრესა აღნიშნავს, ოცნებობდნენ არაბთა ამ ქვეყანაზე თავიანთი ბატონობის აღდგენას იქ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის გზით.

შეთქმულება გულდასმით იყო მომზადებული. პოლკოვნიკმა შავაფმა კონტაქტი დაამყარა ერაყის რესპუბლიკის მტრებთან ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე მოსულში ამბოხების მოწყობამდე. შავაფმა მხარდაჭერა ჰოვა აგრეთვე მეგობრჯვენი რეაქციული ელემენტების მხრივ ერაყში და უწინარეს ყოვლისა ჩრდილოეთ ერაყის მომთაბარე ტომების მემამულეთა და შეიხთა შორის, რომლებიც უკმაყოფილნი არიან ერაყში აგრარული რეფორმის განსახორციელებლად ერაყის მთავრობის ღონისძიებებით.

მზვიდობის მომხრეთა მიტინგის დამთავრების შემდეგ რეაქციულმა ელემენტებმა მოახერხეს მოეწყოთ რამდენიმე პროვოკაციული გამოხდომა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. ქალაქში წესრიგის აღდგენის საბაბით შეთქმულ შავაფის განკარგულებით იქ შეიყვანეს მე-5 ბრიგადის ქვეგანაყოფები შავაფის თანამოაზრე ოფიცრების სარდლობით. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მშვიდობის მომხრეთა დელეგაციები ორგანიზებულად წავიდნენ მოსულიდან.

7 მარტს დამით ქალაქი ფაქტიურად იმ რეაქციული ძალების ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც აჯახეკა მოაწყეს. შეთქმულების მონაწილენი ანგარიშს უწევრებდნენ პროგრესულ ელემენტებს ქალაქში. ამბოხების ორგანიზატორმა შავაფმა განაცხადა, რომ არ ემორჩილება ერაყის კანონიერ მთავრობას და მოითხოვდა ერაყში არსებული წყობილების დამხობას. როგორც უკანასკნელი ამბებიდან ჩანს, შეთქმულებმა ვერ პოვეს ხალხის მხარდაჭერა. მათ სულ რამდენიმე საათს გასძლეს.

ი. ბერეზნიკოვსკი.

უცხოეთის ქრონიკა

◆ ჰელსინკში ჩავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია.

◆ საბჭოთა მხატვრულმა ფილმმა „მიფრინავენ წეროები", რომელსაც დიდი ხანია განსაკუთრებული წარმატებით უვლენენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინოთეატრების ეკრანებზე, მიიღო დასავლეთგერმანული პოპულარული ჟურნალის „ფილმვოხეს" პრემია. ეს პრემია ყოველწლიურად ენიჭება დასავლეთ გერმანიისა და უცხოეთის საუკეთესო მხატვრულ ფილმებს.

◆ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა მუსა არაფამ მიიღო კაიროში მყოფი ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი პროფესორ ი. ვ. კომზინის მეთაურობით. შეხვედრის დროს განიხილეს ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის მართვის ორგანიზაციის საკითხები და სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეგვიპტელი და საბჭოთა სპეციალისტების ერთობლივ სამუშაოთა ორგანიზაციასთან.

◆ ხახელმწიფო საავიაციო ქარხანამ ბანგალორში საექსპლოატაციოდ გადასცა პირველი ინდური სამამულო საავიაციო მოტორი 90 ცხენისძალის სიმძლავრისა.

◆ ფილიპინების მთავრობამ ცალმხრივად ვადამდე გაიუქმა ამერიკა-ფილიპინების შეთახმება საჰაერო ტრანსპორტის შესახებ იმ მიზნით, რომ ხელი მოაწეროს ახალ შეთანხმებას, რომელსაც საფუძვლად დაედება ურთიერთ სარგებლობის პრინციპები.

◆ ვენის სამხარეო სასამართლოში დაიწყო ყოფილი გესტაპოელის ოზუფ გაბრიელის პროცესი, რომელსაც ბრალად ედება ებრაული წარმოშობის პოლონელ მოქალაქეთა მასობრივი დახოცვა. მასალები, რომლებიც სასამართლოს აქვს, ცხადყოფენ, რომ ი. გაბრიელი 1942-1948 წლებში მასობრივად ხვრეტდა ბორისლავის, სამბორისა და სტრიის რაიონებში ამ მოქალაქეებს. უზარმაზარი თხრილი, რომელიც ამოთხრილი იყო უდაბურ ადგილას ბორისლავის მახლობლად, ორჯერ აივსო ი. გაბრიელის ბრძანებით დახვრეტილ პატიმართა გვამებით. ი. გაბრიელმა პირადად დახვრიტა 300-ზე მეტი ებრაელი. ქალაქ სამბორში გაბრიელმა დახოცა 50-მდე ებრაელი ბავშვი.

ამერიკელ ჟურნალისტთა ასოციაციის ჯილდო

ნიუიორკი, 12 მარტი. (საკდესი). ამერიკელ ჟურნალისტთა ასოციაციის ჯილდო ამ წელს ეძლევა ამერიკელ ჟურნალისტ ალ ბეკერს, „ნიუიორკ ტაიმსის" ვაშინგტონის ბიუროს ინფორმაციის ბიუროს ინფორმაციის ბიუროს ინფორმაციის ბიურო